ჩვენი სკოლის ეზო

დაბალი დონე
1

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე,
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ISBN

თბილისი
2019 წელი

ჩვენი სკოლის ეზო

დაბალი დონე

1

ეს ჩვენი ბაღია.

ჩვენს ბაღში სხვადასხვა ცხოველი ბინადრობს.

ეს ხოჭოა.
ხოჭო **მწერია**.

ეს ხოჭო ხეების ფოთლებით იკვებება.

ეს წითელი მწერი არის ხის ტკიპა.
ხის ტკიპა მწერია.

ეს მუხლუხოა.
მუხლუხო მცენარის ფოთლებს ჭამს.

ხოჭო, ტკიპა და მუხლუხი ზიანს აყენებენ მცენარეს.

ეს ხორბლის თავთავია.

თავთავში ხორბლის მარცვლებია.

ხორბლის ღეროში
მატლია.

მატლი ჭამს თავთავის ღეროსა და
მარცვლებს.

მატლი თავთავს ზიანს აყენებს.
დაზიანებული თავთავი ხმება.

ეს ჭიანჭველების ბუდეა.



ჭიანჭველები მოძრაობენ მცენარეებზე და საკვებს ეძებენ.

ჭიანჭველებს უყვართ ტკბილი ხილი.

ისინი იკვებებიან ასევე მწერებით:
მატლებით, ობობებით, ტკიპებით.

ჩვენი ეზოს ხეებზე ბევრი **ფრინველია**.

ეს ბეღურაა. ბეღურას ნაცრისფერი და ყავისფერი ბუმბული აქვს. ბეღურა ჭამს მწერებს: მატლებს, ბუზებს, მუხლუხოებს. ბეღურას უყვარს ასევე მარცვლეული და ხილი.



ეს შოშიაა. შოშიას აქვს გრძელი, წვეტიანი ნისკარტი და შავი ბუმბული. შოშია ჭამს მწერებს, ობობებს, მატლებს, მუხლუხოებს.

ეს ოფოფია. ოფოფს თავზე სავარცხელივით ქოჩორი აქვს. ოფოფის ნისკარტი გრძელია და წვეტიანი. ოფოფი მწერებით იკვებება.

ეს კაჭკაჭია. კაჭკაჭის ზოგიერთი ბუმბული თეთრია, ზოგიერთი ბუმბული - შავი. კაჭკაჭს აქვს მოკლე ნისკარტი და გრძელი კუდი. ის იკვებება მწერებით და მატლებით. კაჭკაჭი ჭამს ასევე მარცვლეულს, თხილს, ხილს.

ეს მოლაღურია.
მოლაღურს ტანზე ყვითელი ბუმბული აქვს,
ფრთებზე - შავი ბუმბული.
ის ბუდეს ძალიან მაღალ ხეებზე იკეთებს.
მოლაღური ჭამს მატლებს, მწერებს მოლაღურს
უყვარს ასევე მაყვალი, ჟოლო, ბალი.

ეს ჩვენი **ბოსტანია**.

ბოსტანში პატარა ცხოველები ბინადრობენ.

ეს ჩვენი ბოსტნის სალათაა.

სალათის ფოთოლზე ლოკოკინაა.

ლოკოკინა სალათის ფოთოლს ჭამს.

ბოსტანში ზღარბია.

ზღარბი ჭამს ხოჭოებს, მატლებს, ლოკოკინებს, თაგვებს.

ეზოსთან ახლოს ტბორია.

ტბორთან ბაყაყები ცხოვრობენ. ისინი ღამე ყიყინებენ.

ბაყაყები ბოსტანშიც ბინადრობენ.

ისინი იკვებებიან ბოსტანში მცხოვრები მწერებით.